საიდ. №71877/03

IR 1153445

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №180-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჰილტონ ჰონორს ვორლდვაიდ ლლკ” (HILTON HHONORS WORLDWIDE LLC) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №180-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2225/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „HILTON HHONORS EXPERIENCES WORTH SHARING HHonors.com” (საიდ. №71877/03 IR 1153445) დაცვის მინიჭება საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (43-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს №2225/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "HILTON HHONORS EXPERIENCES WORTH SHARING HHonors.com" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „ჰლტ ინტერნეშენელ იპ ლლკ (დელავერის კორპორაცია)“ (მისამართი: 7930 ჯონს ბრენჩ დრაივი, სუიტი 1100 მაკ-ლინი, ვირჯინია 22102) სახელზე 43-ე კლასის მსგავსი მომსახურებისათვის „საქპატენტში“ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა „HILTON GARDEN INN" (რეგ. N 22784, რეგისტრაციის თარიღი: 13.07.2012), "HOMEWOOD SUITES BY HILTON" (IR 1047850, რეგისტრაციის თარიღი: 10/08/2010, გავრცელების თარიღი: 30/11/2011) "HOME2 SUITES BY HILTON" (IR 1051601, რეგისტრაციის თარიღი: 10/08/2010, გავრცელების თარიღი: 30/11/2011) "HOME2 SUITES BY HILTON." (IR 1051915, რეგისტრაციის თარიღი: 10/08/2010, გავრცელების თარიღი: 30/11/2011) "EMBASSY SUITES BY HILTON" (IR 1103492, რეგისტრაციის თარიღი: 13/12/2011, გავრცელების თარიღი: 13/12/2011) "HAMPTON BY HILTON" (IR 916234, რეგისტრაციის თარიღი: 26/01/2007, გავრცელების თარიღი: 21/12/2011) "DOUBLE TREE by Hilton" (IR 934420, რეგისტრაციის თარიღი: 10/08/2007, გავრცელების თარიღი: 10/08/2007) "DOUBLETREE BY HILTON" (IR 934603, რეგისტრაციის თარიღი: 10/08/2007, გავრცელების თარიღი: 10/08/2007) "D THE DOUBLETREE BY HILTON" (IR 1041468, რეგისტრაციის თარიღი: 03/06/2010, გავრცელების თარიღი: 03/06/2010) "Hilton Garden Inn" (რეგ. N 22831, რეგისტრაციის თარიღი: 30.07.2012). "Hampton by Hilton" (IR 963239, რეგისტრაციის თარიღი: 15/04/2008, გავრცელების თარიღი: 21/12/2011) "HILTON GRAND VACATIONS" (IR 1105480, რეგისტრაციის თარიღი: 13/12/2011, გავრცელების თარიღი: 13/12/2011) "E EMBASSY SUITES by HILTON" (IR 1105765, რეგისტრაციის თარიღი: 13/12/2011, გავრცელების თარიღი: 13/12/2011) "HOMEWOOD SUITES by Hilton" (IR 1084258, რეგისტრაციის თარიღი:

23/05/2011, გავრცელების თარიღი: 22/12/2011). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით. სასაქონლო ნიშნების შემადგენელი სიტყვა „HILTON“ წარმოადგენს სასაქონლო ნიშნების მთავარ ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო ნიშნებს აქვთ სხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სიტყვიერი ნაწილები, „HILTON“-ის ცნობადობიდან და სახელიდან გამომდინარე არსებობს საშიშროება იმისა, რომ მომხმარებელი შეცდომაში შევიდეს განცხადებული სასაქონლო ნიშნის მომსახურების გამწევთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ჰილტონ ჰონორს ვორლდვაიდ ლლკ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი, რომლის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანია თანახმაა განცხადებული სასაქონლო ნიშნის აპელანტის სახელზე დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში. აპელანტის მითითებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები მიკუთვნებიან ერთ სამრეწველო ჯგუფს, კერძოდ „ჰილტონ ვორლდვაიდ ინკ"-ს (Hilton Worldwide Inc). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს

საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2225/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „HILTON HHONORS EXPERIENCES WORTH SHARING HHonors.com" (საიდ. №71877/03 IR 1153445) დაცვის მინიჭებას საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგიამ მხედველობაში მიიღო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიის „ჰილტონ ვორლდვაიდ ჰოლდინგ ლლპ" (Hilton Worldwide Holding LLP) (კომპანიის ჰლტ ინტერნეშენელ იპ ლლკ უფლებამონაცვლე) თანხმობის წერილი, რომლის თანახმად დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანია აცხადებს თანხმობას, განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში კომპანიის „ჰილტონ ჰონორს ვორლდვაიდ ლლკ" (HILTON HHONORS WORLDWIDE LLC) სახელზე. ამავე თანხმობის წერილში აღნიშნულია, რომ აპელანტი კომპანია „ჰილტონ ჰონორს ვორლდვაიდ ლლკ" და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანია „ჰილტონ ვორლდვაიდ ჰოლდინგ ლლპ" წარმოადგენენ კომპანიის „ჰილტონ უორლვაიდ ინკ" შვილობილ კომპანიებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები

წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „HILTON HHONORS EXPERIENCES WORTH SHARING HHonors.com" (საიდ. №71877/03 IR 1153445) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჰილტონ ჰონორს ვორლდვაიდ ლლკ" (HILTON HHONORS WORLDWIDE LLC) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აგვისტოს №2225/03 ბრძანება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ".
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HILTON HHONORS EXPERIENCES WORTH SHARING HHonors.com" (საიდ. №71877/03 IR 1153445) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი:

ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების  გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

| | |
|---|---|
| კოლეგიის თავმჯდომარე: | ნ. გოგილიძე |
| წევრები: | ქ. კილაძე |
| | მ. ჭიჭინაძე |